სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/157

ქ. თბილისი 26 ოქტომბერი 2021 წ.

„პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ ფაკულტეტთაშორისი აკადემიური დეპარტამენტის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/08 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური დეპარტამენტის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოების 2021 წლის 25 ოქტომბრის გაერთიანებული სხდომის №20 ოქმის, ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის №01-05-02/30 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე მულტიდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ფარგლებში სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას ფაკულტეტთაშორისი დაქვემდებარების „პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ აკადემიური დეპარტამენტი.

2. მოწონებული იქნეს ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტების საშტატო განრიგებსა და დებულებებში (დანართები).

3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენენ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების დეკანები, პროფესორები ი. გაბისონია და ი. ჯაგოდნიშვილი.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**